

# კროსვორდი



შვეულად

1. ცნობილი მწერალი, დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ჩეხეთში, ჩეხეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენი. 3. ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობა. 2. „თანამედროვე ინფორმაციული თეორიის მამა“ (1916-2001). მის სახელს უკავშირდება ციფრული კომპიუტერის შექმნა და მონაცემთა სტრუქტურული კომპრესირების იდეა. 4. ჯგუფ „როლინგ სტოუნზის“ სოლისტი. 5. სახმელეთო ჯარების ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი სახეობა, რომელიც შეიარაღებულია ქვემეხებით, ზარბაზნებით, ნაღმსატყორცნებით და სხვა. 8. გერმანელი კონსტრუქტორი, რომელმაც ვერნერ ფონ ბრაუნთან ერთად შექმნა პირველი საბრძოლო ბალისტიკური რაკეტა „ფაუ-2“ (V2) მეორე მსოფლიო ომის დროს. 12. საბჭოთა ლიდერი, რომელსაც უკავშირდება 1968 წელს ე. წ. „პრაღის გაზაფხულის“ სამხედრო ძალით ჩახშობა. 13. ქალაქი იაპონიაში, რომელიც 1945 წლის აგვისტოში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ატომური ბომბით გაანადგურა. 14. ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას აღნიშნული კომერციული ბანკისგან განსაზღვრულ ვადაში მიიღოს გარკვეული თანხა (მფლობელის მიერ განთავსებული თანხა პლუს პროცენტი). 17. უწყვეტად მიმდინარე ტექნიკური პროგრესი, ჯარების აღჭურვა მექანიკური ტრანსპორტით. 20. სახელმწიფო აზიაში, სადაც 1979 წლის ბოლოს საბჭოთა ჯარი შეიჭრა. 22. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დამაარსებელი. 25. საბჭოთა კავშირში განხორციელებული რეფორმების ე.წ. „პერესტროიკის“ ავტორი. 27. დავირუსებული ზომბი კომპიუტერების ქსელი, რომელიც იმართება მესამე პირის მიერ. 29 პირველი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი.

31. გერმანელი პოლიტიკოსი, რომელმაც დანგრეული და გაჩანაგებული გერმანია ეკონომიკურად და პოლიტიკურად უაღრესად წარმატებული გზით წაიყვანა. 32. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გვარი ერის-კაცობაში. 33. ფრანგი აბატი, საზოგადო მოღვაწე, რომელიც ევროპას სთავაზობდა ფედერაციულ მოწყობას. 37. გაერ-თიანებული ერების ორგანიზაცია. 38. დაწესებულება ძველ საქართველოში, რომელიც საბანკო საქმიანობას ეწეოდა და ზოგიერთი ცნობით, XI-XII საუკუნიდან არსებობდა. 39. ზუგდიდის მაზრის სოფელი (ამჟამად ქალაქი), სადაც 1861 წლის 7 სექტემბერს დაიბადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი. 42. რეაქტიული არტილერიის „პირველი მერცხალი“, საბჭოთა იარაღი, რომელიც მე-2 მსოფლიო ომის დროს გამოჩნდა და დასაბამი მისცა ამ ახალი ტიპის იარაღის ფართოდ დანერგვას. 44. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური ხელმძღვანელობის რეფორმატორული ნაწილის წარმომადგენელი, რომელიც 1968 წელს სათავეში ჩაუდგა დემოკრატიული ცვლილებების განხორციელებას. „პრაღის გაზაფხულის“ ავტორი. 45. აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი მოსკოვში, რომლის წერილი ისტორიაში შევიდა, როგორც „გრძელი ტელეგრამა“. ფაქტობრივად მან ჩაუყარა საფუძველი აშშ-ის სტრატეგიულ ხედვასა და პოლიტიკას მომდევნო ორმოცდაათწლიანი „ცივი ომის“ ეპოქისათვის. 46. ჯარის ოთხკუთხა წყობა. 48. უნგრეთში კომუნისტების ლიდერი, რო-მელიც სათავეში ჩაუდგა 1956 წ. ქვეყანაში დაწყებულ რევოლუციურ მოძრაობას. საბჭოთა ჯარის მიერ რევოლუციის სისხლში ჩახშობის შემდეგ ის მის მეგობრებთან ერთად დახვრიტეს.

## თარაზულად

2. ქართველი პოლიტიკოსი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი 80-იანი წლების ბოლოს. 6. ჩრდილოატლან-ტიკური ალიანსი. 7. საფრენი აპარატი, რომლის გამოყენებამაც პირველი მსოფლიო ომის დროს სათავე დაუდო საჰაერო ძალის მასობრივ გამოყენებას და სამხედრო ავიაციის გადამწყვეტ როლს თანამედროვე ომში. 9. მამა ამბროსი ხელაიას საეკლესიო წოდება, სანამ 1921 წლის სექტემბერში წმიდა სინოდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად აირჩევდა.10. ვირტუალური სივრცე, რომელიც ინტერნეტტექნოლოგიებისა და სწრაფი გლობალური დაკავშირების შედეგად შეიქმნა. 11. ქალაქი აფრიკაში, სადაც მოქმედებს გაეროს ერთ-ერთი რეგიონული ოფისი. 15. გარკვეული მხარის უფლება, ერთპიროვნულად შეაჩეროს ესა თუ ის გადაწყვეტილება. 16. მე-20 საუკუნის მეცნიერი და მათემატიკოსი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი (1894-1964), რომელ-საც უკავშირდება ტერმინ „კიბერნეტიკის“ გამოყენება. 18. ფრანგი პოლიტიკოსი და დიპლომატი, რომელსაც საფრანგე-თის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა სხვადასხვა ხელისუფლების დროს ეკავა. 19. სარგებლის (პროცენტის) მიღების მიზნით საბანკო დაწესებულებაში იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დროებით განთავსებული თავისუ-ფალი ფულადი სახსრები. 21. წყალზედა საბრძოლო ხომალდი, მაღალმანევრული მცურავი საავიაციო ბაზა. 23. ერთ-ერ-თი მონასტერი სირიაში შავ მთაზე, რომელსაც უკავშირდება VI საუკუნეში 13 ასურელი მამის ჩამოსვლა აღმოსავლეთ საქართველოში და 17 სამონასტრო ცენტრის დაარსება. 24. ბანკის სახელწოდება საბერძნეთში. 26. პირველი ამერიკული ბალისტიკური რაკეტა. 28. ხრახნიანი, ლულიანი თოფი, შექმნილი XVI საუკუნის არკებუზის საფუძველზე. 30. ბიზანტი-ის იმპერიის დედაქალაქი (თანამედროვე სტამბოლი). 34. ვირტუოზი გიტარისტი, რომელიც 1969 წელს ჯგუფ „როლინგ სტოუნში“ ბრაიან ჯონსის ნაცვლად მივიდა. 35. ქალაქი გერმანიაში, რომელიც ბეტონის მაღალი კედლით იყო გაყო-ფილი. 36. ინტერნეტთაღლითობის დანაშაულებრივი ფორმა. ინფორმაციის მოპოვება მოტყუების გზით. 40. ლათინური წარმოშობის სიტყვა, რომელიც ნიშნავს სესხს. 41. გაეროს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივი წევრი ქვეყანა. 43. სახელი, რომელსაც ბერძნები უწოდებდნენ 980-983 წწ. იოანე მთაწმიდელისა და თორნიკე ერისთავის თაოსნობით ათო-ნის მთაზე აგებულ იბერთა (ქართველთა) მონასტერს. 47. ბერძნული კულტურისა და განათლების უპირატესობის აღი-არება და მისი მიმბაძველობა. 49. საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნის პროცესი 80-იანი წლების ბოლოს, რომლის ავტორი იყო საბჭოთა ლიდერი მიხეილ გორბაჩოვი. 50. ცნობილი ბრიტანელი მწერალი და პუბლიცისტი (1903-1950), რომელსაც მიეწერება ტერმინი „ცივი ომი“. 51. ამერიკის შეერთებული შტატების მე-40 პრეზიდენტი. მან თავის სტრატე-გიულ ამოცანად დაისახა საბჭოთა კავშირის დამარცხება და მას საჯაროდ უწოდა „ბოროტების იმპერია“. 52. ინგლისე-ლი ავტორი ნაშრომისა „ევროპის აწმყო და მომავალი“, სადაც იგი ევროპის სახელმწიფოებს ძალადობის შეჩერებისაკენ მოუწოდებს და ყველა დავის მოგვარებას ერთიანი მმართველობის საბჭოს დახმარებით სთავაზობს. 53. გაეროს გენერ-ალური მდივანი 1997-2006 წლებში.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ

1. მარქსი 2. სტალინი 3. ლელო 4. კოგნომენი 5. აღნიაშვილი 6. პარტიტურა 7. სოსიგენე 8. გესტაპო 12. ჰიმლერი 15. ლიტ-ვა 16. ფაშიზმი 18. ეთნოსი 19. ავლანეთი 21. ასპეკიანი 22. რუბიკონი 23. ბლიცკრიგი 24. რიბენტროპი 28. კიაზო 32. ჩიპი 33. ქანთარია 34. ფასცისმო 36. ზინობიანი 38. ტანეევი 39. ლეკური 40. აისორი 42. ივლისი 44. კატონი 47. გენი

**ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ**

4. კოლექტივიზაცია 9. შოპენჰაუერი 10. ოქტავიანუსი 11. ბაიტი 13. სპეკულაცია 14. ელცინი 16. ფალიაშვილი 17. დუჩე 20. რაგბი 25. ჰიროსიმა 26. ნიურნბერგი 27. ბიგსაიდი 29. რაიხსტაგი 30. ჰარტმანი 31. ლიბრეტო 35. ახპატი 37. ინდუს-ტრიალიზაცია 41. რევანში 43. ბისმარკი 45. პრეტორი 46. სარაჯიშვილი 47. გენოციდი 48. ნეირონი